



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის  
**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA030127471935118

№ 01-60/ო

05 / მარტი / 2018 წ.

„მწვავე სინუსიტის დიაგნოსტიკა და მართვა ბავშვებში“ - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციისა (გაიდლაინის) და „მწვავე სინუსიტის დიაგნოსტიკა და მართვა ბავშვებში“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტის (პროტოკოლის) დამტკიცების თაობაზე

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „კ<sup>1</sup>“ და „კ<sup>2</sup>“ ქვეპუნქტების, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის № 249 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტების, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტისა და „კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნული საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 27 მარტის №94/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-17 პუნქტის შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. დამტკიცდეს:

- ა) „მწვავე სინუსიტის დიაგნოსტიკა და მართვა ბავშვებში“ - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი) - დანართი №1;
- ბ) „მწვავე სინუსიტის დიაგნოსტიკა და მართვა ბავშვებში“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) - დანართი №2.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

დავით სერგუენკო